



საღიბარაბურო და სამეცნიერო ნახაბიანი ბაზეთი. ბაზოლის შოველ კვირა ღღს.

№ 16

აპრილი 9 1895 წ.

№ 16

შინაარსი: ლიხუჩანგი, ჩინეთის დესპნი იაპონიისთან შემრიგებელი გ. წერეთლისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — სიუერადლებო ამბები. — ზოგ-ერთებს, ლექსი რუს-იმერლისა. — სამეგრელოს ვითარება იპო ხეთელისა. — ცხოვრების სერათებო სილოვანისა. — გავასიის სასტატისტიკო ცნობების მოყვარულთაღმისი ს. — არაბისა. — ქრისტე აღდგა, ლექსი მუსისა. — კახაკრაქ რატი და მუედლე მ.სი რუსედან. — სტატისტიკის მნიშვნელობა ქართველი ტომის შესახებ აღ. ხანანაშვილისა. — სვიმონ ხელბარნოვისა. — მიერიე ბ-ბლიოგრაფიული შენიშვნა პ. ქ. — ასი. — საქველმოქმედო საქმეები. — შეედომის შესწორება.

ღ ი ხ უ ჩ ა ნ გ ი

აკობლიის ჰრემია 1894 წლის თებერ
დელთფელი ფარული ნამღვინით და
ხსენული შუბო კანობიკაწაწილია და ამ ერთ



იბადივტარებენ ესა
აბლა იბლა წილა ვილენ 'იქებებქ
აბლა იბლა წილა ვილენ 'იქებებქ
აბლა იბლა წილა ვილენ 'იქებებქ


ლიხუჩანკი



ნგლისელები ამ დიდ გავლენიანს კაცს და ჩინეთის იმპერიის მმართველს ეძახიან ჩინეთის ბისმარკს. ის თავიდანვე იყო ევროპის განათლების მომხრე ჩინეთში და ბევრი ცვლილება შეიტანა ჩინეთის იმპერიაში. მის გავლენას უნდა მიეწეროს, რომ ჩინეთში ევროპულ წესზე გამოაწვეეს ჯარი და სამხედრო ცეცხლის გემები. იაპონიის ომამდის ის მართავდა შინაურსა და გარეშე პოლიტიკას ჩინეთისას. ლიხუჩანგი არის შეილი ერთი ღარიბი მეცნიერისა, დაიბადა 1823 წელს. არაერთარი უმაღლესი მფარველობა მისთვის კაცს არ გაუწევია. რაც გავლენა მან მოიპოვა მთელ ჩინეთის იმპერიაზე, სულ საკუთარი შრომით და ნიჭით არის. 1861 წელს ჩეკიანგის მაზრაში დაინიშნა მოსამართლეთ, ორ წელს შემდეგ გადაიყენეს კიანგსუს მაზრის მმართველთ. აქ მან ხალე მოაშთო ამბოხება. ბოგდახანმა დააფსა მისი მწერობა და სიმარჯვე. ხალე დანიშნეს იგი უმაღლეს თანამდებობაზე და უწოდეს გამგებელი საიმპერატორო მაზრებისა. შემდეგ ვახადეს პეილიის ეიკუკოროლათ და ზღვის მინისტრათ. მასე მიანდევს სახელმწიფოს ინტენდანტობა რაცა ომი ატყდა, ყოველივე უბედურება, რაც ჩინეთს შეემთხვა, სულ იმას მოახეიეს თავზე. ძველმა წეს-წყობილების მიძღვევამ პარტამ განიზრახა მისი დაღუპვა და ბოგდინანს ურჩევდა, სიკვდილით დაესაჯა ლიხუჩანგი, რომელსაც არალებდენ ამ უბედურებას, რადგან იგი იყო ევროპის წეს-წყობილების მომხრე და ეწამებოდენ გამცემობას.

„რა ხეირი მოუვიდოდაო ჩინეთს — ამბობდენ მისი მტრები, — როცა ლიხუჩანგი ევროპელებს ნიშნავდა ლენერლებათ და უმაღლეს მთავრობის კაცებათო“. მაგრამ ბოლოს ჩინეთის იმპერატორი მაინც დარწმუნდა, რომ ლიხუჩანგზე უფრო ქუჟუერი მას არაეინა ჰყავდა თავის საბრძანებლოში და კვლავ იმასვე არწმუნა თავისი ნდობა და სიყვარული. ამ ბოლოს დროს ლიხუჩანგმა იყისრა იაპონიასთან შეერიგების მოხდენა. როგორც ვიცით, ამ ბოლოს დროს ერთმა იაპონიის ქვეშევრდომმა რევოლუერი ესროლა მას და თვლი წაშთავდებინა. დევშამ უკვე გვაცნობა, რომ ლიხუჩანგს კეთილათ აჟურვლებმა ბოგდინანის მინდობილობა. ყველაზე შესანიშნავი ამ მორიგების პირობისა ის უნდა იყოს, რომ იაპონიასა და ჩინეთს ამიერიდან კავშირი ექნებათ შეკრული შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ. თუ ეს ამბავი გამართლდა, მაშინ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ შორის აღარ არის ის დრო, როცა ჩინეთი იაპონიასებრ ცვლილებებს შემოიღებს თავის სახელმწიფოში და დაადგება დიდების გზას. მალათ შერიგების დედა-პირი უნდა იყოს პან-მონ-გოლიზმი, ესე იგი იაპონია-ჩინეთის მამხავალს პოლიტიკას ექნება განზრახვა დაიბრუნოს უკან მთელი საშუალო აზია და აღადგინოს ყაჯაყორუმელი ჩინეისყაენების მფლობელობა. როგორც ისტორიით ვიცით, პათი მფლობელობა ხომ მთელ აღმოსავლეთ-სამხრეთის რუსეთზე იყო გავრცელებული ყუზანის წყლამდის. მაშასადამე ჩინეთის და იაპონიის ხელშეკრულობა უნდა ნიშნავდეს მუქარას როგორც რუსეთის წინააღმდეგ, ისე მთელი ევროპელი სახელმწიფოების განდევნის მცადინებობას აღმოსავლეთის ოკეანის ნაპირებთან.

გ. წერეთლისა,



სხვა-და-სხვა ამბები



ივაცკევთ მკითხველების ყურადღებას მწვემსუნა“ დასუამბულ ქუთაისის სემინარიის რექტორის არხიზანდრიტის მამა დიმიტრას განცხადებას, რომლითაც იგი მიიქტა ქართველებისადმი და თოვს შემწყობას ახლათ დაარსებულის ქუთაისის სემინარიის ქართული ბიბლიოთეკის გამდიდრებას ქართული დასუამბული წავნებით, ყურნალ-გახეთებით და ხელნაწერებით. რამდენათაც სასურველია, რომ ქუთაისის სემინარიის კურსდარსულებულები ქართულ მწიგნობრობა-

ში კარგათ განვითარებულემა გამოდიოდენ, იმდენათ სასიამოვნო და მადლობის ღირსია მამა ქუთაისის რექტორი დიმიტრი ასეთი საქველ-მოქმედო მოწოდებისათვის. ჩვენის მხრით ვთხოვთ ყველა ჩვენს ქართულ გამოცემულეს, ამხანაგობებს, კერძო პირებს თუაერთი თხზულებანი და ქართული გამოცემანი მოწოდან ქუთაისის სემინარიის დარსებულს ქართულ წიგნსაცავს. ეს პირველი შემთხვევაა, რომ სემინარიის რექტორი ზრუნავდეს ქართველი სემინარიელების გონების განვითარებას საშობლო ენაზე. იმედა, ყოველი ქართველი არ დაიშურებს ამისთანა კარგი საქმისათვის თავის წდილის. ხალი მამა რექტორამ დიმიტრიმ უნდა იცოდეს,

რომ იგი მართა ამგვარი კაცობრიული მოქმედებით მოიპოვებს ყოველი ქართველის სიყვარულს და ნდობას. იმედია, მისი შეცადინებობით ქუთაისის სემანარია მკვიდრს საფუძველზე დადგება, იქიდან გამოვლენ სამღვდლო პირნი, კარგათ მომზადებულნი ქართულ საღვთო წერილში, საეკლესიო გალობაში და ქართულათ ქადაგებაში. მხოლოთ ასეთი მიმართულება ქუთაისის სემინარიისა კელავე გაათბობს ხალხში სარწმუნოებისადმი გაგრილებულს გულს. ლმერთმა ხელი მოაუწყოს თვით მამა რექტორს და მითრის, თუ რომ მისი ასეთი მიმართულება გულწრფელია, კეთილგონიერულ დარწმუნებით გამოწვეული და არა მხოლოთ ქვეყნის საჩვენებლოთ.

* *

„მწყემსს“ შეუტყვიე, რომ 700,000 მანეთიდან, რომელიც მთავრობას გადაუდგა სამრევლო შკოლებისათვის, იმერეთის ეპარხიას რგებია 5500 მან

* *

მოსკოვის ქართველ სტუდენტებს განუზრახავთ საქართველოში გაავრცელონ წერილების დასაწერი ფოსტის ქაღალდები თამარ დედოფლის პაწია სურათით შედარებული. ამისთანა ფოსტის ქაღალდი ჯერ-ჯერობით ღირს ერთი ფურცელი ორკაბეკათ; შემდეგ კი იმედი აქვთ კაბეკათაც გახადონ და კონკურენცია გაუწიონ უბრალო ფოსტის ქაღალდს. შემოსავალი აქედან ნახევარი საერო ზეპირსიტყვაობის ფონდისთვის გადაიდება და ნახევარი იფთხისანი ქართული წიგნების გამოსაცემათ. სანუგეშოა

საყურადღებო ამბები

სადგური „განჯა“, 23 მარტს 1895 წ. როგორც მოგვხსენებთ, შემქმნისდაეგვართ ვიწროთ ქურნალ გაზეთებს, მაგრამ ჩვენდა საწუხაროთ ვაზეთის ნომრებს სრულიად ვერ ვიღებთ და კიდევ ხშირათ გვეკარგება. როგორც შევითყვეთ, ამ ბოლო დროს დამწამვე პირებთ ჩნდებიან ფოსტის უმცროსი მოხელენი. ეს ევაბატონები ნაცვლათ იმისა, რომ ყოველ რკინის გზის სადგურზე გადასცენ ქურნალ-ვაზეთის ნომრები ფოსტის განყოფილებას, რამოდენიმე ნომრის თავისთვის იტარებენ; ხან ერთს სადგურს დააკლებენ ნომრებს, ხან

მოვლენა, როცა ქართველი სტუდენტობა, ჯერ კიდევ სწავლაშია, მაგრამ თვალი მიანც საქართველოში მოღვაწეობისკენ უჭირავს. გაუმარჯოს მოსკოველ ქართველ სტუდენტების საქმეს.

* *

„კვალის“ წინა ნომრებში, ჩვენ გეჰონდა პატარა შენიშვნა, რომ აღდგომის მესამე დღეს მიემგზავრება განჯას და ბაქოს ქართული ხორა ბ. რატოლისა, მაგრამ აღვილობრებ მთავრობას ნება არ დაერთო, რომ კონცერტი გამართათ; ამის გამო რატოლის ხორა უკან დაბრუნდა.

* *

ჩვენ მოგვივიდა მამა დ. ლაშაშიძის მიერ გამოცემული ბრესტოლის ქაღალდზე მოსკოვში აკაკის სურათი. მხატვრობა ჩინებულათ და ცოცხლათ არის გამოსული და დიდ მზგავსება აქვს პოეტთან. ფასითთო სურათისა ათი შუბრია. ამ სურათების შემოსავლიდან ნახევარი დანიშნულია ზეპირ-სიტყვაობის ფონდისათვის, მხოლოთ ასი ცალი მუქათთ დეთობა „ჯეგვილის“ რედაქციას ხელისმომწერთა ემაწილებლის საჩუქრათ, რომელნიც გამოიცნობენ „ჯეგვილს“ გამოცანებებს. როგორც შევითყვეთ, მამა დ. ლაშაშიძის განუზრახავს ჩვენი შესანაშავი საერო და სასულიერო ქართველთა მოღვაწეთა და ისტორიულთა პირთა სურათების გამოცემა, თანასწორის ზომისა. სასამოვნო ამაგია და ვისურვებთ მალე ასრულდებულყოფს ეს ჩინებული განზრახვა, რომლის მოხზებითაც ქართველს ხალხს მიეცემა ღონისძიება ზომიერი ფასით მოპოვოს სურათები თავის სათაყვანებელ სამშობლოს გმირთა.

მეორე სადგურს და ასე ამგვართ—ქურდულათ მთელი წლის ნომრებს თავისთვის აჭრებენ.—არ იქნება ურიგო, რომ ასეთ ბოროტმოქმედებას ეისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიეჭკოს და მით მოგვეცეს საშუალება ქურნალ-ვაზეთების ყველა ნომრების მიღებისა.

უმოჩინოსათ ვთხოვ „Новое слово“-ს და „Кавказ“-ის რედაქტორებს, ეს მცირე შენიშვნა გადასტამბონ თავის პატრეცემულ გაზეთებში.

ერ. გენქაძე

* *

პათუმი. როტშილიდის ქარხნის წემოთ გადაჭიმულია რამდენიმე სახლები და სამიკიტოები, რომელთაც

„ბარცხანას“ ეძახიან და სადაც დაინაყებულა, უმეტესობა ქართველების მუშებისა. ამ რამდენიმე წლის წინათ აქ ბუნვაობდნ უზნეო რაინდები.

სახლარეც გავლა ყველას საშინელ ყრუანტელს გვრდა ტანში. ლოთიბაშობა, აკმა ტყუება, თავის გადაფრეწა და თანანაირის საძაგლის ჩადენის სურვილ-წყურვილი უმაღლეს წერტილამდის გახლდათ აბანებულნი. პოლიციის რისხვა-მუქარამ, მთავარ-სარდლების ვირის აბანოში თავის ამოყოფინებამ, უარესათ გამარავლა, ვააბრაზა, ვაათაყუნდა რაინდები; მათი დაუსრულებელი ყვირილ-კიჟინი, არდნების ღრიალი ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. ამ სამწუხარო გარემოებამ მრავალი მწვარეთ ჩააფიქრა, მაგრამ ღონისძიება თავში არვის მოუღიოდა. საქმე ჩვენთვის უნდა, ქართველურათ მიდიოდა, რომ, რაღაც ბედით, „ქართველთა ამხანაგობა“ დაარსდა, რომელმაც ზოგიერთ მოსახსებურეებს გულში ვაველებინა: მოდი, ეცადეთ ამათში წიგნების გავრცელება, ეგებ რამე ეუსწელოთო.—ბედნიერი დღის წარმოდგენილი ოცნება ჩვენდა სასიკეთოთ, სულ მცირე ხნის განმავლობაში განხორციელდა. ღრეპით წიგნების ხელში მიჩეჩებამ, დამაღ ჩითივით, საპირადო თუ საქვეყნო შრომა-მეცადინეობამ, აი, რა ნაყოფი გამოიღო: ღალის ფერით გაქვითილი, მეშვიდე ცაში აფურცილი საწთლით საძებარია. „ძმებიკობა“, ძველებური „ახ ბალა-ბალა“ დედამიწასთან გასწორებულა; ხანდახან მშვიდობიანობა ირღეცა შეწერილი, ხმა-მეწყობილი სიმღერებით, რომელნიც მშობლურ ნანასავით ეფინებთან მიღამოს და მსმენლის გძრძობა-გონებას ჰხიზლავენ, ატყევენ. ზამთრობით გროვდებთან აქა-იქ რამდენიმე ახალგაზდა ოთახებში და ზაფხულობით სადმე აყავებულ მთებში და დახელოვნებულათ აკითხებენ. გა-

რემომხმდარნი სულ-განაბლნი დღის აღტაცებით უსმენენ; უნებურათ აღმოხდებათ გულიდან: „შენი დამწერის კირიმე, ვენაცვალე და სხვა ათასი“. ვულწილიდგინებ, ხშირათ საზოგადო საქმეებისთვისაც ვულწილმეცადინეობენ. აქ რომ გვარაინი სამკითხველო—წიგნთ-საცავი გვექონდეს და წიგნების გამოკცემელნი მამასისლ ფასათ მარტო შეძლებულთათვის არ ბეჭდებდენ, ოციათასი ეფრსიდან სიხმრათ მიანც მოეჩვენებოდნ გაკირებულნი ხალხის მდგომარეობა, დიდ სარგებლობას მოგვითანდა და უთვალავს, უსამართლო წიგნიანს თქვენს კირს წაღლებიბდა; წიგნების მალაზაში შენიშნავით დაკონკილ-დაფლეთილ ჩოხიანს, რომელიც ნაღელიანთ ათვლიერებს თაროებს; ოღნათ თუ შეგვიწუხებიათ თავი, დაკვირებინათ, სვედით სასე თვალებიდან ამოკითხნავით: ნეტავი თქვენ ამდენი წიგნები გაქეთ: სულით და გულით მიინდა გადავიკითხო, რომ შესამდლებელ იყოს.—რამდენიმე თუმანი უნდა; ვინ მომამევა?! ეჰ, ყველაფრის ქვესკენელში ჩამტანო სიღარიბეო!!

ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ აქ თითქმის ყოველ ფეხის გადადგამზე შეხედებით აჭარელ, ქობულელ, ლივანელ და სხვა საფულე ქართველ მამადაინს; სამშობლო ქვეყნის გულისტყვილი, ნიჭიერთ დასურათ-ნატებული ბევრ მათგანს წარსულს გაუთვალისწინებდა, ღრმათ ჩააფიქრებდა... მაგრამ რაღა?

წელიწადი წიგნი მიღეს სისწრაფით, მიატეს ამ ქვეყნის ძალათ: გძრძობა მხნეობა უწყალა, კუჭ-ძიღმა ინაცვალაო!..

მავანწალა.

ზ ო ვ ი ე რ თ ე ბ ს



ას იპრანქები, ყმაწვილო, რა გაქეს თავ-მოსაწონია? ცხვირზე სათვალე უმიზნოთ ნუ თუ ღირსება გვონია?

ამპარტანულათ დაღიზარ, ვითომ-და კუთაც გამძიმებს,

ვიგინდარების მოყვარე ზიზლით შეჭყურებ ნამდვილ ძმებს!..

ალარც გწამს შენი მშობელი, სხვას ეუბნები; დედობას, მამა-პაპათა საფულავს ჰგობ და სხვის მკვდრებს უთელი შენდობას!..

მკენესარ დულუკის ხმას წუნობ, მოგწონს ტრი-რა-რა, ტრა-რა-რა!



ევა გაქვს თე-მოსაწონათ
და დანარჩენი არა რა!..

თითქოს ძირს მყოფი ზენა ხარ?
მეხი დაგასკდა ფშლუ თაუზე,
რა კარგი შვილი შენა ხარ!..

მამ რაღას ვადაპრაჩულებსარ,

რუს-სიმკვლე

სამეგრელოს ვითარება

ვალხი ჯარია, უმეცრება კი მისი მტერი. ეს მტერი უფრო საშიში და სახიფათოა ხალხისთვის, ვინემ თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული მოწინააღმდეგე. ხმალ-ხანჯალ-თოფ-ზარბაზნებით მისი განდევნა მოუხერხებელია. არის მხოლოდ ერთი უებარი საშუალება, რომელიც თუ რიგაწათ და დროზე იქმნა მოხმარებული, გულა-ნაბადს აკიდებს ამ მტერს და საიდანაც მოსულა იქით უჩვენებს გზას. ეს უებარი საშუალება სწავლა-განათლებაა, რომლის წინაშე ქედს იხრის უმეცრება.

მნიშვნელობა სწავლა-განათლებისა დიდი ხანია შეიგნეს ქართველებმა. მეშვიდე საუკუნიდან დაწყებული მეცამეტე საუკუნემდის უმაღლესი გონების განვითარება და განათლება დაემკვიდრა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და კაცთმოყვარეობაზე. მეორემეტე საუკუნეში, იმ დროს, როდესაც ახლანდელი მოწინავე ერების ისე უმეცრების მორგებში ცურავდნენ, არა გავგებობდა რა ქრისტიანულ პოეზიისა და ხელოვნებისა, საქართველოში გაისმოდა ღვთაური პანგი შოთა რუსთაველის უკუდავის ქმნილებისა, ქუხდა ოკროას წყაროსავით ძლიერა სიტყვა ქართველი ღვთისმეტყველებისა. მას შემდეგ დროთა ვითარებისა და ერთა უკუღმართი ტრიადის მეოხებით თანდათან შესუსტდა სწავლა-განათლება საქართველოში და მეთექვსმეტე საუკუნეში — სრულიად დაეცა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მეოცე და მეორმოცე წლებში, როცა ჩვენში რუსის მთავრობა დამკვიდრდა, ხალხი სულ გავრულებული იყო. მისი გონების საუფრე ტაძრებში და მონასტრებში იყო ჩამარბული. მწუხარე იყო ამ დროს ქართველების მდგომარეობა. მისი გონება დახშული იყო, მხოლოდ თვალები ჰქონდა დაჭყეტლი და სიამოვნება და დეჟერადებული ტანსაცმლით, რადგან ამ ზიზილ-პიილებს საგულ-კუჭო განცხრომა მოდევდა. აი, ამ გასაცხრომელ ცხოვრებამ ბანგი დაღვივნა ერის მეთაურ წოდებას—თავადაზნაურობას—მიადინა და მიძინებულს ხელიდან გამოტაცა ქვეყნის პატრონობის

კვერთხი. დადგა დრო გონების უმეცრებისა, სილხრისა და ქვეყნის მუხანათობისა.... მაგრამ საშიხარულით მესამოცე წლებში ქართველებმა კვლავ გამოიღვიფეს, კვლავ ხელი მიჰყვეს სწავლა-განათლებას. მას შემდეგ თანდათან ცოტ-ცოტათი სწავლა-განათლება მოვივნა საქართველოს ყოველს კუთხეს. ქალაქებში, დაბა-სოფლებში თანდათან იმატა შკოლებმა, წიგნთსაცავებმა და სამკითხველოებმა, რის გამო ხალხს გავლიდა სურვილი ჟურნალ-გაზეთები სა და პატარ-პატარა წიგნაკების კითხვისა. ამ მხრივ შესამჩნევი ნაბიჯი წადგეს წინ გურულებმა. ხუთექვს სოფლებში მათ უკვე დაარსეს სამკითხველო-წიგნთ-საცავი; იქ-სოფლის შკოლებში იღვწიან საქმის მკოდნე და უანგარო მუშაკნი, რომელთა ნათლათ შეუგნათ თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე, მოუშხადნებიათ თავის გულის სიღრმეში ნიადაგი თანამომძთა სიყვარულისათვის. ნაყოფი მათი შრომა-მოღვაწეობისა გურიაში თვალ-საჩინოა: ხალხი ეტანება წიგნებს და სიამოვნებითა კითხულობს მას.

სამეგრელო ამ მხრივ უკან ჩამორჩა თავის თანამომეგებს. მაგრამ ეს იმას კი არ მოწმობს, რომ მეგრელებს არ ჰქონდეთ სურვილი სწავლა-განათლებისა, არ ჰქონდეთ ნიჭი და სიმკერცხლე. არა! ამ არა სასურველ მოვლენის თავი სულ სხვაგან არის ჩამარბული. საქმე იმაშია, რომ ჩვენი სოფლის შკოლები, რომლებსაც თავისებური პროგრამა და მიმართულება აქვთ, არ აკმაყოფილებენ ხალხის მოთხოვნილებას, არ მოაქვთ შესაფერი ნაყოფი. ამ შკოლებში უარყოფილია ისეთი ელემენტი, რომელიც მშობლიურია და მამასადამე აუცილებლათ საქირო ყველა მეგრელისათვის. ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ თუმცა სამეგრელოში შკოლები საქმით ჰობიოვებთან, მაგ. სამოქალაქო, ნორმალურნი და პირველ-დასაწყისნი, მაგრამ არც ერთ მათგანში ქართულათ არ ასწავლიან. ამის გამო სწავლა-განათლების საქმე ჩვენში ერთ დღენზე დგას, არც წინ იწევს და არც უკან. განა წინაწადის და სწავლა-განათლების ნიშნათ უნდა ჩაითვალოს თუთიყუშებით უაზროთ და დამახინჯებულათ „**ЖИТЬ БИТЬ** у **მარქუა**“ს გახეპირება? ხუთი წლის განმავ-

ლობაში, რომელსაც მაგალითად ნორმალური სასწავლებელში ატარებს გლეხის შვილი „ЖИТЬ ДАТЬ И РАБОТАТЬ“ და ზოგიერთი ლექსების, ლოცვების და ვითარცა და გეოგრაფიულ-ისტორიულ ცნობების მეტს ეყრას იძენს რას. მაგრამ ვაი ასეთ შეძენას! ვანა შეგვიძლია მას შეძენა დაუძახოთ? ცნობილია, რომ ცოდნა, რომელიც არ აღმოცენდება მშობლურ ნიადაგზე, მალე ჭეუნება და ბოლო ეღება. ასეა ზემოხსენებულ შემთხვევაშიც. მოშორდება თუ არა ყმაწვილი ჩვენებურ შკოლას, მას ავიწყდება სუყველადერი, რაც შკოლაში შეიძინა, ან და ბეგრძე რომ დაამახსოვრდეს შკოლაში შეძენილი, ამითი ვანა რამე სარგებლობას მოუტანს ის თავის მშობლებს—ნათესავებს? სრულებით არა! მას წერილის და წერაც არ შეუძლია მშობლურ ენაზე. ამისთვის, საკერეელიც არ არის ჩვენა გლეხებმა შკოლა შეიძლია, ექვსის თვლით დაუწყოთ ცქერა:—“რა, ხუთი წელიწადი იარა ჩემმა შვილმა შკოლაში, მარა რა გამოვიდა? წერილსაც ვერ კითხულობს ქართულათ. რუსული იცის, რუსობისა შეუპყრია ჩვენი მასწავლებლები.... რა დროს რუსულია, თუ ღმერთი ვწამსთ, რადესაც ქართულათ ანა ბანა არ იცან“—წყნით იმეორებენ იმედ-გაცრუებულ გლეხები. სწორით რომ სამართლიანია ასეთი სამღერავი ჩვენის გლეხებისა! ისინი იმისთვის აძლევენ შვილებს შკოლაში, რომ შეაძინონ ცხოვრების გამოსადეგი ცოდნანი, რათა მათ მანაც არ დააზარებინონ თავი მაწაწა და გაიძვრა სოფლის მოხელეებს, რომელთა საქმელ პურთა გამხდარან მათი უციო მშობლები. მაგრამ საბრალო მშობლებს იმედუშტუფნდებათ და წყვეა-კრულეთ იხსენიებენ იმ ღესს, რადესაც მათ შვილები სასწავლებელში მიცეს. სამარცხენოა, სამარცხენო, რომ მეცხრამეტე საუკუნეში შკოლა ამისთანა ნაყოფს იძლეოდა.

ჩვენდა სამწუხაროთ ამ შკოლებში მასწავლებლებიც არ ვარგან. მათ არც განების განვითარება აქვთ, არც გამოჩვეული მოქმედების გეგმა, არც ხალისი და არც ენერჯია. ამას ის უნდა დავძიროთ, რომ ამ რჯულის მასწავლებლები მომეტებულათ მეგრელებია, რომელთაც, თუ შეგნებულათ არა, ინსტრუქტურათ მიანიც უნდა ჰქონდეთ სიკვარული თანამომეების, თავისი სამშობლოსი. მაგრამ ჩანს ისინი აზღიდან ამორდიულ მიმართულებით, გადაბირებულან, დამახინჯებულან, აღმოხციათ ყოველივე პატიოსანი გრძობა, მეტსაც ვერცხვი—დაუკარგვეთ კაცობა, ადამიანობა. მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ ეს ვაე-ბატონები თვალ-ყურს არ

ადგენებენ საქართველოს ვითარებას, არ ცდილობენ გაიკონა ქართული ლიტერატურა, არ იღებენ მასში შეძლებისდაგვარათ მონაწილეობას, უბრალო კორკისმანდენციებს არ უზგანინან ჭურწალ-ვაზეთობას, რათა ამკონა მკითხველ საზოგადოებას სოფლის ვითარება, მისი დღეური ქირ-ვარამი.

იმ დროს, რადესაც, მაგ. გურიაში მასწავლებლების შრომით და მეცადინეობით დაარსებულან ბევრ ადგილს წიგნთ-საკუი, სამკითხველო, ბევრს მკედრთავანს გახსნია მადა და ხალისი წიგნის კითხვისა და ამოურჩევი პატიოსანი გზა შრომისა, ჩვენში—სამეგრელოში - სოფლის მასწავლებლებიც წაბძეით ხალხი ეჩვევა ქალაღის თამაშს, სმა ლოთობას.

—“ნასწავლი, განათლებული უჩიტელი“ ქალაღდს თამაშობს, მაშ კარგი ყოფილა თამაშო—ფიქრობს გულში სოფლის ახალგაზნდ გლეხი და თეთონაც ღამეებს ატარებს ქალაღის თამაშში.

ერთი სიტყვით დოგენის ფარით რომ ეძიოთ, ჩვენში ვერ იპოვით ნამდვილ მასწავლებელს. მასწავლებელს და ხალხს შუა სრულებით გაწყვეტილა კავშირი. არაფერი სულიერი თანაგრძნობა არ აერთებს მათ და სოფლის გლეხებს. თუ ზემოხსენებული მიმართულებისა ჩვენებური შკოლები, თუ მათი პროგრამა სრულებით არ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას, არ ასახვლებს ხალხის ჭკუეგანებას და მასთან თუ დაუდგვარნი და მართალ გზას ამცდარნი მასწავლებლები არიან მათში, მაშ რამ უნდა წასწიოს, რამ უნდა წაადგმეინოს წინ ნაბიჯი სწავლა-განათლებას ჩვენში?

ერთი სახსარი-ლა დავგჩენია და ეს სახსარი სამრეველო შკოლების გაწრცელებაა.

სამრეველო შკოლა, მისი პროგრამა სრულებით აკმაყოფილებს ჩვენი ხალხის მოთხოვნილებას, მასში ისეთი ელემენტებია ხელ-უხლებელი, რომელიც ამ საჭირ-ბოროტო დროს სანატრელათ გაუხდა ყველა მეგრელს. მე მოგახსენებთ ქართულ ენის სწავლვაზე ამ ტიპის შკოლებში. ქართულ ენაზე სოფლის მოწაწვინი შეიძენენ ისეთ ცოდნას, რომელიც მათ პრაქტიკულათ გამოადგებათ ცხოვრებაში. მათ რთულელც ეცოდინებათ სეკაოთ, რადგანაც ცნობილია, რომ სამშობლო ენის სწავლა წინასწარ აადვილებს უცხო ენის შეთვისებას. მაგრამ ვინ უნდა იკისროს მათი დაარსება ჩვენში? ვინ უფრო მოეოთხება მათში მოღწეობა?

რასაკერეელია, მღვდლები არიან მოვალენი თავიანთ ეკლესიებთან სამრეველო შკოლაც იქონიონ და თითონაც იყონ მასწავლებლათ. იმათ უნ-

და აუხსნან, ჩააგონონ ხალხს, თუ რა დიდი განძია, თუ როგორ გამოადგება მათ შეილებს ცოდნა ქართულ-რუსულათ წერა-კითხვისა, ანგარიშისა. ჩვენი გლეხები არც ისეთი უფიცილი და გაუგებარნი არიან, რომ არ მიხედონ, რა არის მათთვის კარგი, ანუ ცუდი. ისინი უსათუოთ დათანხმდებიან სულიერ მამის

ჩრევა-დარიგებას. მაგრამ ასეთი კეთილ-დამრიგებელი და მრჩეველი მღვდლები ჩვენში ცოტანი არიან და ამისათვის არც სამრევლო შკოლები გვაქვს. მათი რიცხვი სამწუხაროთ ძლიერ ცოტაა.

პო სეოფლი

ცხოვრების სურათები

II



აა! ვარდნს ვახლავარ!..
ვერ გხედავ დიდი ხანია...
— რა უყუო, მოკლა არა მაქვს,—
თავიც ვერ მომიფხანია!

— ბევრი საქმე გავქვს? ჰო, უფლო
აღბათ ოჯახს და მამულებს...
— ერთი შენც!.. სხვას რომ შევხედავ,
ისიც კი თავსა მაძულებს!

— მაშ საზოგადო საქმეში
ხარ აღბათ მარად გართული,
რომ წინ წაწიო მოძმენი
და დედა-ენა — ქართული?..

— საქმე არა გავქვს? რას ვაქნევ
მოძმეებს, დედა-ენასა?!
თაყვანს იმას ეცემ, პირადათ
ვინც მე მანიჭებს ლხენასა!..

ქეფი, ცეკვა, სიმღერა—
ჩემი მიზანი ეს არის,—

და მეჯავრება ქირიეთ
ქვეყნისთვის მტირალ-მკვნესარი.

უზრუნველათ მაქვს ყოველ დღეს,
რაც მენატრება გულითა:
მსურს—ყანწით დაეღვე შამპანურს.
მსურს—აზარფეშით, კულითა!..

დღეს აქ ექვიფობ, ხვალ იქა,—
საცა ლიაა კარები...
დღეს გრაფისას ვარ სადილათ—
მშვიდობით, მიეჩქარები.

მშვიდობით!.. კარგათ გავიგე,
რა საქმეებიც გქონია!..
მაგრამ მისმინე, რა გითხრა,—
ბრძენთავან გამოგონია:

ეახ, თუ ზაფხულში მღერალმა—
ზამთარში შექნა გლოვანე?..
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

სილოვან.

კახაბერიძე რაჭი და მეუღლე მისი რუსუდან



იათურიდან ორ ევრსზე ყვირილის ხეობის ერთკლდეში მდებარებს შესანიშნავი ლემის მონასტერი. თვით ტაძარი კლდის ლემიში დგას

და წარმოადგენს ძველს მეცამეტე საუკუნის ხუროთ-მოძღვრებისას. ჩვენ როდისმე მკითხველებს დაწერილობით გვაეცნობთ ამ მონასტერს და ახლა მხოლოდ მისივე მათ ყურადღებას ამ ტაძრის კედლის მხატვრობაზე. ჩრდილოეთის კედელზე არიან დიდათ დახატულნი პირის სახეები მკე-

რდამდის. ისინი დღემდე კარგათ შენახულან, მხოლოდ
ქვედა ტანები აქეთ მხატვრობებს წაშლილი. რო-
გორც გ. წერეთლის დედნიდათ ჩანს, ზეწარწერა
ჩინებულათ ამოიკითხება:

„ამ ეკკლესიის აღმამენებელი რაჟის ერისთავი
კახაბერიძე რატი. მეუღლე მათი რუსუდან“. კახა-
ბერიძე ნიანია“.

ეს სამი სურათი ჩრდილოეთის კედელზეა და-
ხატული. ჩვენ აქ მოგვყავს მარტო რატისა და მისი
მეუღლის სურათები.

ეს რატი, როგორც თვით დოკუმენტებიდან ჩანს,
უნდა იყოს თამარ დედოფლის ერისთავთ-ერისთავის
კახაბერის შვილი-შვილი, ესე იგი კახაბერ კახაბერი-
ძის ძე.



რატი და მეუღლე მისი რუსუდან.

კავკასიის სასტატისტიკო ცნობების მოყვარულთადმი

(ზეენ მეზროქტეათა საყურადღებოთ)

I

მდგომარე 1895 წელს ჩვენს ლიტერატურა-
ში კარგი შესავალი, პროლოგი აქვს, თუ
ისეთივე ეპილოგი, ბოლო-სიტყვა დაურჩა.
ამ წელიწადმა თვისი შესავალი დაიწყო იმით, რომ
ახლათ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე ესრეთ
წოდებული „მესამე დასი“. ამ წელში გამოვიდენ
ლიტერატურაში ჩვენი მოღვაწენი სხვა-და-სხვა პრო-

ექტებით, მაგ, „ეკლამა“ საერო ფონდის საძირკე-
ლები ჩაყარა, „ივერიამ“ — სასტატისტიკო ცნობების
შეკრებაზე განახლა ბასი; „ეკლამა“ დაბადა „მესა-
მე დასის“ მწერლები, „ივერიამ“ კი — მათი მოპირ-
დაპირე ბ-ნი ლალი და, თუ გნებავთ ე. წ. ეს ორი
თანამშრომელი „ივერიისათვის“ ახლათ მოელონე-
ბული მანანაა, რადგან იმათ სულ სხვა ჰანგზე აა-
ქლერეს მეველისა და მისი კამპანიისაგან მომართუ-
ლი სიმები. სხვა საკითხავებიც ბევრი აღიძრა ჩვენს
ლიტერატურაში, მაგ. თანადროული ქართული ლე-
ქსიკონის შედგენა, მაგრამ ჩვენ სხვებს თავს დავანე-
ბებთ და სასტატისტიკო ცნობების შეკრებას მივა-
ქცევთ მკითხველის ყურადღებას.

აღარ გავიმეორებთ იმას, რაც ითქვა სასტატისტიკო ცნობების და ზეპირგადმოცემების შეკრების სარგებლობაზე; ორთავე ეს საკითხი კია ხანია აღძრა ჩვენს ლიტერატურაში. აქილოთ, თუ გენებეთ, სასტატისტიკო ცნობების შეკრება და მისი მნიშვნელობა ჩვენს ეკონომიური ცხოვრების გამოსაზრკვევით. ამაზე ვრცელი და საბუთიანი წერილები აქვს ბ-ნ გ. მიაშვილს 1882 წ. ჟურნალ „ივერიაში“ შემდეგი სათაურით: „წერილები ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“. აქ ბ-ნი მიაშვილი იძლევა გეგრიანათ ვრცელს და გასაგებ პროგრამას სასტატისტიკო ცნობების შესაკრებათ. ეს წერილები, ჩვეულებრივით ისეთი ანახრანისმული (არა თანადროული) მოკლენა იყო ჩვენს მაშინდელ ლიტერატურაში, რომ მისი არც ცალკე გამოცემა გაასხნდა ვისმე და არც საზოგადოების თვალს ყურის მივყარა. ჩვენმა ყოველ დღიურმა ვაზივით „ივერიაში“ კი ავერ ცამეტ წელს შემდეგ მოიგონა ის, უძღენა ამ ფრიად საჩქარო საქმეს ერთი მეთაური და რქვე საყინავი წერტილი (точка замерашия) დაუსვა. გვანებთ, დროა ამ წერტილიდან, სადუად (точка кипшия) წერტილამდე მივიყვანათ ტერმომეტრი, თორემ ამას სხვები გულ-ციგობათ ჩამოგვართმევენ.

ღიახ, 13 წელმა ვანელო და ჩვენ ახლა გავახსენდა უსაჭიროესი სარგებლობა სასტატისტიკო ცნობების შეკრებისა. მაგრამ ამდენის ხნის მივიწყებდას და ჩვენს უთავებობაბას ჯანი გავარდეს, რომ ახლა მაინც არ მიჩუმებულიყო ეს საქმე. ვანა დიდათ გასაჭირი იქნებოდა რამდენიმე საქმის მტოდნე შეგნებულ პირთ მოყვარათ თავი, აქილოთ ზემოთ დასახელებული წერილი მიაშვილისა, ამას წინეთ „ივერიაში“ დასტამბული სიმინუშო პროგრამა ქვევის სტუდენტებისა, რამდენიმე საუკეთესო პროგრამა რუსეთის ეროვნებათა და შეედგინათ ერთი ხელსამძღვიანელო პროგრამა!!!

პროგრამის შემუშავება ფრიად საჭირო და საჩქაროა, რადგან ბევრი ახალგაზდა არის მსურველი ამ ნილაგზე იმოქმედოს და უპროგრამაბისა ვაშო ხელი ევრაფისათვის მოუკიდნიათ. აი, თუნდაც მართო საფილოქსერო დასში მყოფი ახალგაზდაბა რა აქილოთ. იმათ ძალიან ბევრი შემწეობა და შრომა უმუქლიათ მოახმარონ ამ საქმეს. ამ საქმის შესრულება მათი პროგრამის ერთ-ერთი ნაწილის შეადვენს და, აი, როგორ? ყოველ წლებით, ყოველ ექსპერტს საფილოქსერო დასისას ჰყავს სტატისტიკური ცნობების შესაკრებათ და მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესახებ მოხსენებების საწერათ თითო, ხან ორი კაცი, რამელნიც მთელი წლის გან-

მეულობაში მოგზაურობენ სხვადასხვა საქართველოს კუთხეებში. ესეც არ იყოს, ყოველი მკვლევარის საფილოქსერო დასისას ბლომათ რჩება დრო, გარდა მისთვის პირდაპირის მოგაღწეობის აღსარულებიას, და თუ ისინი ჩვეულებრივით, უქმობასა და არარაობაში არ გაატარებენ თავიანთ თავისუფალ დროს, ბევრს რასმე გააკეთებენ.

ჩვენ კარგათ ვეცხმის ამ საქმის დიდი მნიშვნელობა და ისიც ვიცით, რომ იგი ერთ, ამ ორ დღეში არ გაკეთდება; მაგრამ იმასაც ნუ დაიფრწყებენ ამ საქმის მეთაური, რომ საქმეს მაინც კიდევ დაწყება უნდა და შეძლებისა და გეგრათ გაკეთება. ჩვენ გვეგულება რამდენიმე მხნეთ მოქმედი ახალგაზდა, რომელთა შორის ზოგი თეორეტულათ არის ამისათვის მომზადებული და ზოგიც პრაქტიკულათ. იმედია, ეს ახალგაზდები არ დაიზარებენ და როგორც შეუფერის ჰებულის სიმხრევებს ამ საქმეს ხელს მოკიდებენ და საფილოქსერო დასების სამუშაოთ ვასეულამდე, ან კიდევ საკანიკულო დროის დადგომამდე შეადგენენ პროგრამას და უსათუოთ ცალკე წიგნაკით დასტამბენ, რათა ეველოსათვის ხელმისაწოდში გახდეს. გარდა საფილოქსერო დასისა, საკანიკულო დრო მისთვის ავიღეთ ჩვენ, რომ ამ ხანებში ბევრი თავისუფალი ინტელიგენტი მიეშურება სოფლისაყენ „დროს გასატარებლათ“. სოფელში ამ დროს თვის იყრის ერთი მხრით მასწავლებელნი ორთავე სქესისა და მეორე მხრით საშუალო საწავლებლებების და უნივერსიტეტის სტუდენტობა, რომელთაც (უშეიროს ნაწილს მაინც) შეეძლება შხა პროგრამის საკითხებზე პასუხი ჩაწერონ. ამნაირათ მათ სოფლებში შევნიერი დროს გასატარებელი საქმე გაუჩნდებათ და აღარ დაიწყებენ წარამართ ვეედრებას, რომ „სოფელში ინტელიგენტი ერთ კვირასაც ვერ გაძლებს“.

არ იფიქრო, მკითხველო, თითქო ამ ფრიად პასუხის საცებელ საქმის მოთავეობას ჩვენ უზრალო მოინტელეგენტც ანტედაგენდას ეურჩედედთ. სრულიადც არა; იმის სათავეში უსათუოთ გონებაგახსნილი, ზნეობა-მალალი, გულწრფელი და საზოგადოთ კარგათ მომზადებული პირები უნდა იქნენ. ასეთი ინტელიგენტნი სრულიადც არ დაიზარებენ ერთი მხრიდან მეორეში მოგზაურობას, ერთი სოფლიდან მეორეში, მესამეში და თუნდაც მათეში გადასვლას, ერთის გლეხის ქოხიდან, მეორეში შეესვლას, დათელიცხრებას და აწერას, ერთი სიტყვიტ ქვემარტ-მოქმედი ინტელიგენტი არ დაიშურებს ამ საქმეს შეწეროს თავისი თავისუფალი, თუნდაც საკანიკულო დრო.

ასე ამგვართ შეიძლება ეს ხანდაუყოვნებლივი საქმე სასტატუსტიკო მასალის შეკრებისა ითავოს ინტელიგენციამ და ადღეს იმ „ჩინონიკურ“ ნიადგს, რომელმაც რუსეთის ლიტერატურაში ისე დახლართა საქმე, რომ იქაურ ეკონომიურ საკითხების მკვლევართ ჯგუფს სადათო აქეთ ისეთი საუკრადღებო საკითხები, როგორც არის კაპიტალიზმის დამკარგება, თუ უნიადგობა რუსეთში, „ობინის“ (საერთო მიწათ მფლობელობის) ხრწნა, თუ კიდევ უფრო განვითარება, მუშათა მდგომარეობის გარკვეული შეწესწესება და მრავალი ამგვარება. რუსეთში, სადაც კერძო პირებს და სხვა-და-სხვა დაწესებულებათ რა თათი გეინებოთ, ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა ერთათ ერთი საუკეთესო დაწესებულებათ აღსარებული ეროზი, მარა იმათი შრომაც არ არის მოკლებული შეტომებს. მაშასადამე, მამოგვისიტყვება აჩქარებული მეთხველი, თუ რუსეთში, სადაც იმდენ კერძო პირებს და დაწესებულებათ უშრომნათ ამ საქმეზე და მაინც კიდევ შეტომებით სავსე არის მათი სასტატუსტიკო გამოკვლევა—ჩვენ მკვლევართ რაღა უნდა დავმართოთ? ესენი ხომ შეტომებით ავსებენ თავიანთ გამოკვლევებს, რადგან ეს საქმე ჩვენში სულ ახალი ხილიათ? ამას გვეტყვის ჩვენ ის ნაწილი მეთხველებისა, რომელთაც საქმეში დაბრკოლებათ დაძლევა არ სურთ, მზამზარეულზე ხელგაშლიან არიან და საქმის დაწესებამდე სხვა-და-სხვა დაბრკოლებებზე მოკითხებენ, აქოა და ამ საქმის ასე ადელიათ გაკეთება შეუძლებელიათ.

